საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.39.033.033) მდებარე საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ.თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.39.033.033) მდებარე შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტორმა : **ბადრი ბიბილეიშვილმა**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა

განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.

2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

• პროექტის აღწერილობა

პროექტი მიზნად ისახავს შპს „დიზელი და ჰიდრავლიკა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსერვისის შენობის მოწყობას თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.19.39.033.033). ტერიტორიის ფართობი, საკადასტრო მონაცემებით, შეადგენს-1809 კვ.მ-ს. მას სამი მხრიდან, ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთით მაისურაძის ქუჩა.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ლითონის კარკასულ ნაგებობას, იგი ერთსართულიანია, ანტრესოლით. პირველ სართულზე იგეგმება სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შესაკეთებელი სივრცის მოწყობა და მათ შორის ავტონაწილების მაღაზიის განთავსება, სადაც გაიყიდება ტრაქტორის, სკოლის ავტობუსის, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ნაწილები. პირველ სართულზე ასევე განთავსდება ავტოსერვისის მომსახურე პერსონალის კაბინეტები და სველი წერტილები, რომლებიც ერთმანეთს დაუკავშირდება დერეფნით. ანტრესოლზე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, მოეწყობა ადმინისტრაციის საოფისე კაბინეტები და სველი წერტილები, ანტრესოლი პირველი სართულის სივრცეებთან (მსუბუქი ავტომობილების სერვისი და ავტონაწილების მაღაზია) დაკავშირებული იქნება ორი ლითონის კიბით.

საპროექტო შენობის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონის წერტილოვანი საძირკვლისგან და ლითონის მზიდი ელემენტებისგან, კედლების შემავსებლად და სახურავად გამოყენებულია ლითონის პანელები (ე.წ. „სენდვიჩპანელები). პირველ სართულსა და ანტრესოლს შორის, სართულშუა გადახურვის ფილად გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა.

• ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობე ჯგუფის დაკავებულობა, კერძოდ **სწ-1** ქვეჯგუფი, რომელიც მოიცავს მსუბუქი და სატვირთო მანქანების შესაკეთებელ სივრცეს; საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა, **სქ** ჯგუფი, რომელიც მოიცავს სამუშაო კაბინეტებს თანამშრომლებისთვის და სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობა, **სვ** ჯგუფი, რომელიც მოიცავს ავტონაწილების მაღაზიას. პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები, განთავსდება ორსართულიანი შენობის **0.00 და +3.10 ნიშნულებზე** .

სწ- 1 დაკავებულობისთვის,**1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი:
მანქანების შესაკეთებელი სივრცე -**27.9** (დამხმარე სათავსები,მექანიკური მოწყობილებების ოთახი); დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის **13** დამკავებელს.

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის,**1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი:
საოფისე კაბინეტები -**9.3** (საქმიანობის წარმოების ფართობები); დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის **11** დამკავებელს.

სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის,**1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი:
საოფისე კაბინეტები -**2.8** (მიწისპირა იატაკების სავაჭრო ფართობები); დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის **26** დამკავებელს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) მიხედვით შენობა მიეკუთვნება **VA** კონსტრუქციის ტიპს.

შენობის ელემენტები - ლითონის სტრუქტურული ელემენტები, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გადახურვის სენდვიჩპანელი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავის, 601 ცხრილის** მოთხოვნებს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

სარეკონსტრუქციო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503- ცხრილის** მიხედვით. შენობაში არსებული დაკავებულობის და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე რომ, შენობა აკმაყოფილებს **VA** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე არის **15,2 მეტრი,** სართულის დასაშვები ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის **(სწ-1)** არის 1950 კვ.მ, ხოლო დასაშვები სართულების რაოდენობა შეადგენს **4-ს; სქ** დაკავებულობისთვის დასაშვები ფართობი არის 1670 კვ.მ, დასაშვები სართულების რაოდენობა - 3; **სვ** დაკავებულობისთვის დასაშვები ფართობი არის 1300 კვ.მ, დასაშვები სართულების რაოდენობა - 3.

საპროექტო დოკუმენტაციით შენობაში **სწ-1** დაკავებულობისთვის იგეგმება **339,7 კვ.მ** ფართობის დაგეგმარება, **სქ** დაკავებულობისთვის - **101,7**, **სვ** დაკავებულობისთვის - **72,3 კვ.მ.** შენობის სართულიანობა არის ორი სართული. შენობის სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **6.53 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან 496.15).**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის 1021.2(2) ცხრილიდან** და დაკავებულობის დატვირთვებიდან გამომდინარე **მიწისპირა სართულზე განთავსებულ სამივე დაკავებულობას** ესაჭიროება თითო გასასვლელის გზა-კარი, ჯამურად კი გათვალისწინებულია 8 გასასვლელი გზა-კარი, რაც ასევე ითვალისწინებს გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებს და აკმაყოფილებს **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნებს. იგივე **(1021.2(2)) ცხრილის** მოთხოვნებიდან გამომდინარე მეორე სართულზე გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძლიდან გამომდინარე (30.65 მ.) მოწყობილია ორი გასასვლელი გზა-კიბე, რაც აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელი გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის მეორე სართულზე(ანტრესოლი) მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(8 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7,6 მმ).** პროექტის

მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0,9 მ)** მეტი სიგანის მქონე ორი გზა-კიბე **(1.25 მ)** რითიც უკავშირდება მიწისპირა დონეს. შიგა გასასვლელის გზა-კიბე ასევე აკმაყოფილებს **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2** ქვეთავის და მეორე სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0.9 მ)** მეტი სიგანის დერეფანი - **(1,25 მ).**

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.82 მეტრს.**

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელერთეულებში) რაოდენობა (**1021 ქვეთავის** მიხედვით) და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია **1008 ქვეთავის** მიხედვით.

6. მისაწვდომობის შეფასებას;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11-თავის მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა.

1104.1 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საპროექტო შენობის პირველ(მიწისპირა სართულზე) **სწ-1**, **სქ** და **სვ** ჯგუფის დაკავებულობებებში. ამავე სართულზე მდებარეობს წესები **1109.2 ქვეთავით** განსაზღვრული მისაწვდომი ტუალეტი.

საპროექტო შენობის ანტრესოლის სართულს წესების **1104.4 ქვეთავის, 1 გამონაკლისის** მიხედვით არ მოეთხოვება მისაწვდომი სვლაგეზის უზრუნველყოფა.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

სარეკონსტრუქციო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **602 ცხრილის**, **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება**705.8 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით „ე-ა“ ღერძებში მდებარე შენობის ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეადგენს 3.4-8.8 მეტრს და აღნიშნული კედელი აკმაყოფილებს 1 საათაინ ცეცხლომედეგობის ხარისხს, რაც განსაზღვრულია წესების **602 ცხრილის** მიხედვით, ასევე 1 საათს შეადგენს „ა-ე“ და „6-1“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი(ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი, შესაბამისად 6.55-9.9 და 7.6-17.5 მეტრი) 1-6 ღერძებში მდებარე ფასადის კედლებს წესების **602 ცხრილის** მიხედვით არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს და შეადგენს 23 მეტრს, ხოლო „6-5“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლის ნაწილი, რომელიც ახლოს არის საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობასთან და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1 მეტრზე ნაკლებია აკმაყოფილებს 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

წესების **705.11 ქვეთავის, მე-6** გამონაკლისის მიხედვით საპროექტო შენობას არ მოეთხოვება პარაპეტის მოწყობა.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქციის და არამირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად.

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე **VA** სახურავის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილი გადახურვის მინიმალური კლასი არის B.

შენობის გადახურვის ტიპი არის ქანობიანი, ბურულად გამოყენებულია ლითონის პანელები (პოლიზოციანურატის იზოლაციის მქონე სენდვიჩპანელი), იგი წესების **1505.1 ცხრილის** მიხედვით შეესაბამება B კლასის სახურავის ანაწყობს აკამყოფილებს **1507.4 ქვეთავის** მოთხოვნას ქანობთან დაკავშირებით და **1507.4.3(1) ცხრილის** მოთხოვნას სახურავის ბურულის ზედაპირთან დაკავშირებით (გალვანიზირებული, გოფრირებული ფოლადი). დამატებით იხილეთ წარმოდგენილი სერტიფიკატი, ალის გავრცელებისა და კვამლის წარმოქმნის ინდექსების მიხედვით წარმოადგენს B კლასს, რაც აკმაყოფილებს ამ ქვეთავის მოთხოვნებს.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
პროექტში წარმოდგენილია სამი შერეული დაკავებულობა:
სწ-1, **სვ** და **სქ** ჯგუფის დაკავებულობები პირველ, მიწისპირა სართულზე (+0.50 ნიშნული) და **სქ** ჯგუფის დაკავებულობა ანტრესოლზე (+3.10 ნიშული).

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **508.4 ცხრილის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები არ საჭიროებენ გამიჯვნას.

წესების **1018.1 ცხრილის** მიხედვით პირველ სართულზე არსებული დერეფანი დაკავებულობებისაგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრით, ხოლო ანტრესოლზე არსებული **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 8 დამაკავებელს (ნაკლებია 30-ზე), შესაბამისად **1018.1 ცხრილის** მიხედვით ანტრესოლზე არსებული დერეფნის კედლებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობისთვის, მასში განსათავსებელი საპროექტო დაკავებულობიდან **(სწ-1, სვ და სქ)** გამომდინარე გათვალისიწნებულია შემდეგის სახის ხანძრისგან დაცვის აქტიური სისტემები:

ხელის ცეცხლმაქრები

საპროექტო შენობაში გათავლისწინებულ დაკავებულობებს (**სწ-1, სვ და სქ**) შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **903.2.7, 903.2.9** , **903.2.9.1 ქვეთავების**, გასასვლელებთან და კონსტრუქციის ტიპთან დაკვშირებული მოთხოვნების მიხედვით არ მოეთხოვება ავტოსაშხეფი და ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები.

ასევე, არ არის აუცილებელი სახანძრო მილდგარების, სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების განთავსება წესების **905.3** და **907. 2 ქვეთავების** მიხედვით.

საპროექტო დაკავებულობაში **(სწ-1, სვ და სქ)** ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია **906.1 ქვეთავის** შესაბამისად. ცეცხლმაქრების მოწყობა, მდებარეობა და განაწილება აკმაყოფილებს წესების **906.5** და **906.9 ქვეთავების** მოთხოვნებს

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად .

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებისთვის **(სწ-1, სვ** და **სქ)** გათვალისწინებულია დაშვებულ მინიმუმზე მეტი ფიქსირებული მოწყობილობები, რაც განსაზღვრულია წესების **1602.1 ცხრილის** მიხედვით. ასევე დაცულია **1602.3.1 ქვეთავის** მოთხოვნები ფიქსირებულ მოწყობილობებთან მიდგომასთან დაკავშირებით და **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნები მისაწვდომ ტუალეტებთან დაკავშირებით.

- **დასკვნა**

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ.თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.39.033.033) მდებარე საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ოთარ სულაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი : 29.08.2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

№07/19-2611 30 01 2012

ცნობა

ოთარ სულაბერიძე 2007 წლის 28 სექტემბრის N012 ა-ს/ბ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 2011 წლის 19 აგვისტოს N140 ს/ბ ბრძანების საფუძველზე დაამთავრა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაცია. დიპლომის გაცემა მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 30 მარტისა.

ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი ნ. ღაღანიძე

საქართველო, 0108 თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 32) 2936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2934 665
22 Griboedov str, 0108 Tbilisi, Georgia, tel: (+995 32) 2936 959, tel/fax: (+995 32) 2934 665, www.artacademy.edu.ge

upf. Universitat Pompeu Fabra Barcelona

The Rector awards this

Master in Metropolis. Master in Architecture and Urban Culture

to

Otar Sulaberidze

having successfully passed the assessment tests foreseen in the corresponding programme and a total of 60 ECTS credits
academic year 2011 - 2013

Barcelona, September 30, 2013

Interested party

Rector

Academic Management

Director General of the Continuing Education Institute Private Foundation

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170682993
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06457649080717

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შენიშვნა: საბუთს დამცავ ფონად გასდევს უნივერსიტეტის ლოგო

უნივერსიტეტის ლოგო

Pompeu Fabra-ს უნივერსიტეტი

ბარსელონა

რექტორი აჯილდოვებს

ოთარ სულაბერიძეს

მეტროპოლისის, არქიტექტურისა და

ქალაქმშენებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით

მან წარმატებით ჩააბარა შეფასების ტესტები (გამოცდები), რომლებიც გათვალისწინებული იყო შესაბამისი პროგრამით და ჯამში 2011-2013 სასწავლო (აკადემიური) წლების განმავლობაში მოიპოვა 60 ECTS კრედიტი.

2013 წლის სექტემბერი, ბარსელონა

დაინტერესებული მხარე

რექტორი ხელმოწერილია

აკადემიური მმართველობა ხელმოწერილია

უწყვეტი განათლების ინსტიტუტის კერძო ფონდის გენერალური დირექტორი ხელმოწერილია

თარჯიმანი: ირმა ჯაფარიძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170683017
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	72191971171417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

20.06.2017 წელს, საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის 68, ნოტარიუსი ციური ბერიძე, ვამოწმებ ჩემთვის ცნობილი თარჯიმნის ირმა ჯაფარიძის (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი № 01011070620, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი »-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

20.06.2017, Georgia, Tbilisi, #68 I. Chavchavadze Ave.I, a notary Tsiuri Beridze, Tbilisi, certify the authenticity of the signature of the translator Irma Japharidze (born 18.03.1969, personal № 01011070620, Certificate Of English Language Learning Centre issued on 2015), who is duly authorized to translate from English into Georgia and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის სახლაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახლაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა–2 ლარი და რეგისტრაციის საფასური -2 ლ 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, დღგ-0.36 ლ. სულ გადახდილია: 4.36 ლ.

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution № 507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), - 2 L. and fees for a notary act registration according- 2 L. 39 to paragraph 1 of Article, VAT-0.36, total fees paid: – 4.36 L.

ნოტარიუსი ც. ბერიძე
Notary Tsiuri Beridze

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

3/5, G. Tabidze st, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

31.05.2017

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ოთარ სულაბერიძეს (პირადი No 01008047000) მასზედ, რომ 2010 წლიდან დღემდე, ის მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ირენე სკალვინი

შპს "არტსტუდიო-პროექტი"-ს დირექტორი

СИСТЕМА ДОБРОВОЛЬНОЙ СЕРТИФИКАЦИИ «БЕЗОПАСНОСТЬ И КАЧЕСТВО»

Свидетельство о регистрации № РОСС RU.И559.04.ЖР00

СЕРТИФИКАТ СООТВЕТСТВИЯ

№ ССБК.RU.ПБ19.Н00175 № ПС 003355

Срок действия с 02.04.2018 г. по 01.04.2023 г.

ОКПД2
код ЕКПС
код ТН ВЭД 7308 90 98 0016

ЗАЯВИТЕЛЬ (наименование и местонахождение заявителя)

Teknopanel Çatı ve Cephe Panelleri Üretim San. ve Tic. A.Ş.
Адрес: Mersin Tarsus OSB 7. Cadde No:10 33443, Akdeniz, Mersin / TURKIYE, Турция.
Телефон: +90 850 777 08 50

ИЗГОТОВИТЕЛЬ (наименование и местонахождение изготовителя продукции)

Teknopanel Çatı ve Cephe Panelleri Üretim San. ve Tic. A.Ş.
Адрес: Mersin Tarsus OSB 7. Cadde No:10 33443, Akdeniz, Mersin / TURKIYE, Турция.
Телефон: +90 850 777 08 50

ОРГАН ПО СЕРТИФИКАЦИИ

ССБК RU.ПБ19 до 13.02.2020 г. Орган по сертификации «Пожарный Эксперт», 129515, г. Москва, ул. Академика Королева, д. 13, стр. 1, пом. 111А, к. 3А, тел. +7 495 508-66-08, e-mail: pojar-expert@list.ru

ПОДТВЕРЖДАЕТ, ЧТО ПРОДУКЦИЯ (информация о сертифицированной продукции, позволяющая провести ее идентификацию)

Панели металлические трехслойные стеновые и кровельные с утеплением PIR полиизоцианурат Т, марка: TEKNOPANEL RI-3S, RI-5S, RI-3H, RI-5H, RI-5SM, RI-3SC, RI-5SC, WI-SP, WI-SM, WI-SD, WI-HP, WI-HM, WI-HD, CI-SP, CI-SS с обшивками из оцинкованной стали и утеплителем из полиизосианурата, выпускаемые в соответствии технической документацией изготовителя. Серийный выпуск

СООТВЕТСТВУЕТ ТРЕБОВАНИЯМ (наименование национальных стандартов, стандартов организаций, сводов правил, условий договоров, на соответствие требованиям которых проводилась сертификация)

ГОСТ 30247.0-94 «Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования», ГОСТ 30247.1-94 «Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Несущие и ограждающие конструкции». Предел огнестойкости (смотри приложение №1 на бланке №ПС002243

ПРОВЕДЕННЫЕ ИССЛЕДОВАНИЯ (ИСПЫТАНИЯ) И ИЗМЕРЕНИЯ

Протоколы испытаний №№ 0280/ТП-17, 0281/ТП-17 от 23.03.2018 г., Испытательная лаборатория «Пожарные исследования и испытания», аттестат аккредитации № ССБК RU.21ПБ19 до 13.02.2020 г.

ПРЕДСТАВЛЕННЫЕ ДОКУМЕНТЫ

Техническая документация изготовителя

Руководитель (заместитель руководителя) органа по сертификации (подпись, инициалы, фамилия) **Ю.А. Пронь**

Эксперт (эксперты) (подпись, инициалы, фамилия) **И.А. Смольков**

Для сертификатов

ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემა
«უსაფრთხოება და ხარისხი»
რეგისტრაციის მოწმობა № РОСС RU.И559.04.ЖР00

შესაბამისობის სერტიფიკატი

№ ССБК.RU.ПБ19.Н00175 № ПС 003355

მოქმედების ვადა
02.04.2018 წ.-დან 01.04.2023 წ. ჩათვლით

ОКПД2
ЕКПС კოდი
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი
7308 90 98 0016

განმცხადებელი
(განმცხადებლის დასახელება და ადგილმდებარეობა)

Teknopanel Cati ve Cephe Panelleri Uretim San.ve Tic.A.$.
მისამართი: Mersin Tarsus OSB 7. Cadde No: 10 33443, Akdeniz, Mersin/TURKIYE. თურქეთი
ტელეფონი: +90 850 777 08 50

მწარმოებელი
(მწარმოებლის დასახელება და ადგილმდებარეობა)

Teknopanel Cati ve Cephe Panelleri Uretim San.ve Tic.A.$.
მისამართი: Mersin Tarsus OSB 7. Cadde No: 10 33443, Akdeniz, Mersin/TURKIYE. თურქეთი
ტელეფონი: +90 850 777 08 50

სერტიფიკაციის ორგანო

ССБК RU.ПБ19 13.02.2020 წ.-მდე, სერტიფიკაციის ორგანო «სახანძრო ექსპერტი», 129515, ქ. მოსკოვი, აკადემიკოს კოროლიოვის ქუჩა, სახლი 13, შენობა 1, სათავსო 111A, ოთახი 3A. ტელ.: +7 495 508-66-08, e-mail: pojar-expert@list.ru

ადასტურებს რომ, პროდუქცია
(ინფორმაცია სერტიფიცირებული პროდუქციის შესახებ, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის საშუალებას)

ლითონის პანელები სამშრიანი კედლის და სახურავის დათბუნებული PIR პოლიიზოციანურატ T, მარკა: TEKNOPANEL RI-3S, RI-5S, RI-3H, RI-5H, RI-5SM, RI-3SC, RI-5SC, WI-SP, WI-SM. WI-SD, WI-HP. WI-HM. WI-HD, CI-SP, CI-SS მოთუთიებული ფოლადის შემოსვით და პოლიიზოციანურატის მათბუნებლით, გამოშვებული დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად. სერიული გამოშვება

შეესაბამება მოთხოვნებს
(ეროვნული სტანდარტების, ორგანიზაციების სტანდარტების, წესების კრებულების,

ГОСТ 30247.0-94 «სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. ზოგადი მოთხოვნები» ГОСТ 30247.1-94 «სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. მზიდი და გადამღობი კონსტრუქციები». ცეცხლმედეგობის ზღვარი (იხ. დანართი №1 №ПС002243 ბლანკზე)

ხელშეკრულების პირობების დასახელება, რომელთა მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე ტარდებოდა სერტიფიკაცია)	
ჩატარებული კვლევები (გამოცდები) და გაზომვები	ცდების ოქმები №№ 0280/ТП-17, 0281/ТП-17 23.03.2018 წ., საგამოცდო ლაბორატორია «სახანძრო კვლევები და ცდები», აკრედიტაციის ატესტატი № ССБК RU.21ПБ19 13.02.2020 წ.-მდე
წარმოდგენილი დოკუმენტები	დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაცია

სერტიფიკაციის ორგანოს

ხელმძღვანელი (ხელმძღვანელის მოადგილე) იუ. ა. პრონი *(ხელმოწერილია)*

ხელმოწერა, ინიციალები, გვარი

ექსპერტი (ექსპერტები) ი. ა. სმოლკოვი *(ხელმოწერილია)*

ხელმოწერა, ინიციალები, გვარი

(დამოწმებულია ბეჭდით)

თარგმანი სწორია

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ოცდახუთ ივნისს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *ანაიდა ედიგაროვას* ხელმოწერის სინამდვილეს, ორ გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *სერტიფიკაციის ორგანოს, ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემის „უსაფრთხოება და ხარისხი", რეგისტრაციის მოწმობა №РОСС RU.И559.04 ЖРОО მიერ Teknopanel Cati ve Cephe Panelleri Uretim San.ve Tic.A.S.-სათვის გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი, მოქმედების ვადა: 02.04.2018 წ.-დან 01.04.2023 წ. ჩათვლით, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი: 7308 90 98 0016.*

ქალბატონი ანაიდა ედიგაროვა, დაბადებული 1961 წლის 27 მარტს თბილისში, პირადი N01001032864, რეგისტრირებული ქ.თბილისში, გლდანის მასივი, მე-3 მ/რ, მე-6 კორპუსი, ბინა 5, პროფესიით არის რუსული ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1989 წლის 16 ივლისს გაცემული დიპლომით УВ N986047, სარეგისტრაციო N01/1593.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 6,72 ლარი - აქედან: საზღაური 4,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0,72 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180743833
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.06.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	98807227109718

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

СИСТЕМА ДОБРОВОЛЬНОЙ СЕРТИФИКАЦИИ «БЕЗОПАСНОСТЬ И КАЧЕСТВО»
Свидетельство о регистрации № РОСС RU.И559.04.ЖР00

ПРИЛОЖЕНИЕ
К СЕРТИФИКАТУ СООТВЕТСТВИЯ

№ ССБК.RU.ПБ19.Н00175 № ПС 002243

Приложение №1
Сведения о национальных стандартах (сводах правил), применяемых на добровольной основе для соблюдения требований технического регламента

Обозначение национального стандарта или свода правил	Наименование национального стандарта или свода правил	Подтверждаемые требования национального стандарта или свода правил
ГОСТ 30247.0-94	Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования.	Предел огнестойкости панелей металлических трехслойных стеновых толщиной от 40 до 200 мм для ненесущих наружных и внутренних стен –Е60
ГОСТ 30247.0-94	Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования.	Предел огнестойкости панелей металлических трехслойных стеновых толщиной от 40 до 200 мм для ненесущих наружных и внутренних стен и перегородок– Е145
ГОСТ 30247.0-94	Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования.	Предел огнестойкости панелей металлических трехслойных кровельных толщиной от 40 до 200 мм для несущих покрытий – RE60
ГОСТ 30247.0-94	Конструкции строительные. Методы испытаний на огнестойкость. Общие требования.	Предел огнестойкости панелей металлических трехслойных кровельных толщиной от 40 до 200 мм для несущих покрытий – RE145

Руководитель (заместительруководителя) органанасертификации — Ю.А. Пронь
подпись, инициалы, фамилия

Эксперт (эксперты) — И.А. Смольков
подпись, инициалы, фамилия

Для сертификатов

ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემა
«უსაფრთხოება და ხარისხი»
რეგისტრაციის მოწმობა № РОСС RU.И559.04.ЖР00

შესაბამისობის სერტიფიკატის დანართი

№ ССБК.RU.ПБ19.Н00175 № ПС 002243

დანართი № 1

მონაცემები ეროვნული სტანდარტების (წესების კრებულების) შესახებ, რომლებიც გამოიყენება ნებაყოფლობით საფუძველზე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დასაცავად

ეროვნული სტანდარტების ან წესების კრებულების აღნიშვნა	ეროვნული სტანდარტების ან წესების კრებულების დასახელება	ეროვნული სტანდარტების ან წესების კრებულების დასადასტურებელი მოთხოვნები
ГОСТ 30247.0-94	სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. ზოგადი მოთხოვნები	მზიდი შიდა და გარე კედლების 40-დან 200 მმ-დე სისქის კედლის სამშრიანი ლითონის პანელების ცეცხლმედეგობის ზღვარი - E60
ГОСТ 30247.0-94	სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. ზოგადი მოთხოვნები	მზიდი შიდა და გარე კედლების და ტიხრებისთვის 40-დან 200 მმ-დე სისქის კედლის სამშრიანი ლითონის პანელების ცეცხლმედეგობის ზღვარი - E145
ГОСТ 30217.0-94	სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. ზოგადი მოთხოვნები	მზიდი საფარველების 40-დან 200 მმ-დე სისქის სახურავის სამშრიანი ლითონის პანელების ცეცხლმედეგობის ზღვარი - RE60
ГОСТ 30247.0-94	სამშენებლო კონსტრუქციები. ცეცხლმედეგობაზე გამოცდის მეთოდები. ზოგადი მოთხოვნები	მზიდი საფარველების 40-დან 200 მმ-დე სისქის სახურავის სამშრიანი ლითონის პანელების ცეცხლმედეგობის ზღვარი - REI45

სერტიფიკაციის ორგანოს
ხელმძღვანელი (ხელმძღვანელის მოადგილე) იუ. ა. პრონი *(ხელმოწერილია)*
ხელმოწერა, ინიციალები, გვარი

ექსპერტი (ექსპერტები) ი. ა. სმოლკოვი *(ხელმოწერილია)*
ხელმოწერა, ინიციალები, გვარი

(დამოწმებულია ბეჭდით)

თარგმანი სწორია

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ოცდახუთ ივნისს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *ანაიდა ედიგაროვას* ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *სერტიფიკაციის ორგანოს, ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემის „უსაფრთხოება და ხარისხი“, რეგისტრაციის მოწმობა №РОСС RU.И559.04 ЖРОО მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის დანართი №ССБК.RU.ПБ19.Н00175, №ПС002243.*

ქალბატონი ანაიდა ედიგაროვა, დაბადებული 1961 წლის 27 მარტს თბილისში, პირადი N01001032864, რეგისტრირებული ქ.თბილისში, გლდანის მასივი, მე-3 მ/რ, მე-6 კორპუსი, ბინა 5, პროფესიით არის რუსული ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1989 წლის 16 ივლისს გაცემული დიპლომით УВ N986047, სარეგისტრაციო N01/1593.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 4,36 ლარი - აქედან: საზღაური 2,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0,36 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

შეკრულია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180743867
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.06.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	52216768444218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18